

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო
საკითხთა და ეთიკის კომისიის
სხდომის ოქმი N 17

ხაშური

2018 წლის 3 ივლისი

11-00 სთ

სხდომის თავმჯდომარე ანა ხარებავა - ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე

სხდომას ესწრებოდნენ :

კომისიის წევრები: ცოტნე ნოზაძე, იმედა მეტრეველი, ჯონდო კაპანაძე, ნატო კიკაძე, გურამ
მაზიაშვილი.

სხდომას ესწრებოდნენ : საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი მურმან
ცენგერაშვილი.

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ : ზურაბ ჩხიტუნძე- მერის მოადგილე, დავით ღვალაძე-
მერიის იურიდიული უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ამავე სამსახურის უფროსი
სპეციალისტები: მ.ძინძიბაძე, თ.გოგალაძე, ი.ფერაძე, ე.ხვედელიძე, ნ.ხრიკული.

კომისიის სხდომის უფლებამოსილება განისაზღვრა კომისიის 6 წევრის დასწრებით.

სხდომის დღის წესრიგი (პროექტი)

1.ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული უზრუნველყოფის სამსახურის მიერ
2018 წლის 1-ლი აპრილიდან 30 ივნისამდე პერიოდში გაწეული სამუშაოების შესახებ.

მომხს. დავით ღვალაძე

2.საჯარო ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების წესისა და საჯარო ინფორმაციის
ელექტრონული ფორმით მოთხოვნის სტანდარტის დამტკიცების შესახებ დადგენილების
პროექტის განხილვა.

მომხს. ანა ხარებავა

3. „ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის №22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა.

მომხს. ანა ხარებავა

4. ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის ხელმძღვანელის ანგარიში 2018 წლის I ნახევარში გაწეული საქმიანობის შესახებ.

მომხს. ანა ხარებავა

კომისიის წევრებმა კენჭი უყარეს და ერთხმად დაამტკიცეს დღის წესრიგი პროექტით წარმოდგენილი სახით.

სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებულ I საკითხთან დაკავშირებით მოისმინეს ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის დავით ღვალაძის ინფორმაცია ამავე სამსახურის მიერ 2018 წლის 1-ლი აპრილიდან 30 ივნისამდე პერიოდში გაწეული სამუშაოების შესახებ.

აზრი გამოთქვას: ნატო კიკაძემ, იმედა მეტრეველმა, ჯონდო კაპანაძემ, ანა ხარებავამ.

ღია კენჭისყრით (მომხრე - 6; წინააღმდეგი -0)

კომისიამ გადაწყვიტა: ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის დავით ღვალაძის ინფორმაცია ამავე სამსახურის მიერ 2018 წლის 1-ლი აპრილიდან 30 ივნისამდე პერიოდში გაწეული სამუშაოების შესახებ მიღებული იქნეს ცნობად.

თან ერთვის (დანართი 5 ფურცლად)

სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებულ II საკითხთან დაკავშირებით მოისმინეს კომისიის თავმჯდომარის ანა ხარებავას განმარტება საჯარო ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების წესისა და საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის სტანდარტის დამტკიცების შესახებ დადგენილების პროექტზე .

აზრი გამოთქვას: იმედა მეტრეველმა, ცოტნე ნოზაძემ, ანა ხარებავამ.

ღია კენჭისყრით (მომხრე - 6; წინააღმდეგი -0)

კომისიამ გადაწყვიტა: საკითხი გატანილ იქნას საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.]

სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებულ III საკითხთან დაკავშირებით მოისმინეს კომისიის თავმჯდომარის ანა ხარებავას ინფორმაცია „ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის №22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე საკრებულოს დადგენილების პროექტზე.

აზრი გამოთქვას: ნატო კიკაძემ , გურამ მაზიაშვილმა, ანა ხარებავამ.

ღია კენჭისყრით (მომხრე - 6; წინააღმდეგი -0)

კომისიამ გადაწყვიტა: საკითხი გატანილ იქნას საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებულ IV საკითხთან დაკავშირებით მოისმინეს კომისიის თავმჯდომარის ანა ხარებავას განმარტება ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის ხელმძღვანელის 2018 წლის I ნახევარში გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშზე.


აზრი გამოთქვას: ნატო კიკაძემ , იმედა მეტრეველმა, ანა ხარებავამ.

ღია კენჭისყრით (მომხრე - 6; წინააღმდეგი -0)

კომისიამ გადაწყვიტა: წარმოდგენილი ინფორმაცია განსახილველად გატანილ იქნას საკრებულოს სხდომაზე. .

სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის

თავმჯდომარე



ანა ხარებავა